"112"-ის ლენტით..

№ 4 / დეკემბერი, 2013

რედაქტორი დავით ჭანტურია

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ჰენრიეტა ელიაური, ლიკა ალადაშვილი, თეო გაგოშიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

"eCall" - ევროკავშირის ახალი ინიციატივა გვ.4-5

ყველაზე ვაჟკაცური ადამიანები
მეხანძრეები არიან გვ.6-7

უსახლკაროთათვის დროებითი
თავშესაფრების მოწყობა გვ.8

სამოქალაქო კლუბის წევრების ვიზიტი
"112"-ში გვ.9

შსს "112"-ის დეპარტამენტმა, უამინდობით
გამოწვეული შემთხვევების შესახებ,
ოფიციალური განცხადება გაავრცელა გვ.10

ორი ახალი საგანგებო ქოლ-ცენტრის
ტესტირება ნიგერიაში გვ.11

ფინეთში ნუ ეცდებით 911-ზე
დაკავშირებას გვ.11

სხვა კუთხით დანახული 112-ელები გვ.12-13

ICDO-ს დელეგაცია "112"-ს ესტუმრა გვ.14

ეს საინტერესოა... გვ.15

ცეცხლოვანი გოგონები გვ.16

როგორ შევხვდეთ ახალ წელს გვ.17

ზოდიაქოს რომელი ნიშნისთვის იქნება
2014 წელი ყველაზე იღბლიანი გვ.18-19

სტატისტიკა, მილოცვები... გვ.20

ფოტოკონკურსი გვ.21

"eCall" - ევროკავშირის ახალი ინიციატივა

2013 წლის 21-22 ნოემბერს რუმინეთის ქ. ბუქარესტში HeERO-ს (Harmonized eCall European Pilot) მეორე საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციას 200-ზე მეტი საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის იმყოფებოდნენ საქართველოს შსს-ს სსიპ "112"-ის დეპარტამენტის წარმომადგენლები.
კონფერენციაზე ევროპაში მოქმედი eCall-ის საპილოტე პროექტის პირველი ეტაპის შედეგები იქნა წარმოდგენილი. ევროპის ცხრა ქვეყნის (გერმანია, ხორვატია, ჩეხეთი, ფინეთი, საბერძნეთი, იტალია, ჰოლანდია, რუმინეთი და შვედეთი) წარმომადგენლებმა კონფერენციის მონაწილეებს, პრეზენტაციის სახით გააცნეს მათ მიერ განხორციელებული ცვლილებები და დასკვნები eCall-ის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. კონფერენციის მეორე დღეს კი, ახალი საკომუნიკაციო მოწყობილობის ფუნქციონალური შემოწმება განხორციელდა.
პროექტი HeERO 2011 წლის 1 იანვრიდან დაიწყო და გულისხმობს ავტო-საგზაო შემთხვევის დროს, eCall მოწყობილობით აღჭურვილი ავტომანქანიდან, საგანგაშო სიგნალისა და ლოკაციის შესახებ ინფორმაციის პირდაპირ 112-ში გაგზავნას. შეტყობინების გაგზავნა შესაძლებელია ავტომატურად ან/და მანქანაში დამონტაჟებული სპეციალური ღილაკის გააქტიურებით.
ევროკომისიის მიზანია 2015 წლისთვის ევროკავშირის ყველა ქვეყანა იყოს ჩართუ-



ლი ecall-ის ქსელში. ექსპერტების შეფასებით eCall-ის სერვისის დანერგვა 40%-ით შეამცირებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს ქალაქში და 50%-ით ქალაქგარეთ, რაც შესაძლებელს გახდის ყოველწლიურად დაახლოებით 2500 ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს "112"-ის დეპარტამენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს პროექტის ორგანიზატორებთან სამომავლოდ eCall-ის ქსელში ჩართვის მიზნით.

ვიზიტის ფარგლებში რუმინეთის ქ. ბუქარესტში არსებულ "112"-ს, საქართველოში მოქმედი "112"-ის წარმომადგენლები ესტუმრნენ

რუმინეთში არსებული "112"-ის დირექტორმა და სპეციალური სატელეკომუნიკაციო სამსახურის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ქართველ დელეგატებს დაათვალიერებინეს გადაუდებელი დახმარების ცენტრი და გააცნეს მათი მუშაობის სპეციფიკა. როგორც ადგილზე გახდა ცნობილი, საქართველოსგან განსხვავებით , რუმინეთში ორდონიანი მართვის მოდელი მოქმედებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოპერატორები და დისპეტჩერები სხვადასხვა ფიზიკურ სივრცეში იმყოფებიან:

- "აღნიშნული ცენტრი ბუქარესტში პროგრამული და ტექნიკური თვალსაზრისით საკმაოდ გამართულია, თუმცა, ვფიქრობ, ასეთი სახის მართვის მოდელი, როდესაც ოპერატორებსა და დისპეტჩერებს შორის ცენტრალიზებული მენეჯმენტი არ ხორციელდება და შესაბამისად არ ხდება სწრაფი კომუნიკაცია, შესაძლოა აღნიშნულმა ფაქტმა მოქალაქის დახმარების ოპერატიულობის ხარისხი შეამციროს" - განაცხადა სსიპ "112"-ის დირექტორის მოადგილემ, თეა გზირიშვილმა.

ვიზიტის ფარგლებში, რუმინელმა კოლეგებმა ქართველ დელეგატებს გაუზიარეს გამოცდილება ტექნიკურ და პროგრამულ საკითხებზე, მათ შორის ყურადღება გამახვილდა ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე. 112-ის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა.



"ყველაზე ვაჟკაცური ადამიანები მეხანძრეები არიან"

ერნესტ ჰემინგუეი

მას არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია... მისთვის ცხოვრების წესად იქცა ყველაზე სახიფათო სიტუაციებში მუშაობა. ხვიჩა ნოზაძისთვის მეხანძრეობა ბავშვობის ოცნება არ ყოფილა, გადაწყვეტილება სპონტანურად მიიღო და 10 წელია ამ პროფესიას ემსახურება. რა სირთულეებთან უწევთ მეხანძრეებს გამკლავება? რას ფიქრობს საკუთარ პროფესიაზე საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს მორიგე ცვლის უფროსი? ამ თემაზე ჩვენ ხვიჩა ნოზაძეს ვესაუბრეთ.

- ბატონო ხვიჩა ცნობილია, რომ მეხანძრის პროფესია მსოფლიოს ცხრა ყველაზე საშიში პროფესიიდან მეშვიდე ადგილზეა.. თქვენი აზრით, რითია გამორჩეული ეს პროფესია?

- ჩვენი პროფესია გამორჩეულია, შემთხვევის ადგილზე როცა მივდივართ, მეხანძრეების გარდა ყველა თავის გადარჩენას ცდილობს, ჩვენ პირიქით, შევდივართ შემთხვევის ადგილზე და ვცდილობთ, გადავარჩინოთ სიცოცხლე.

- ყოველდღიურად რა სირთულეები იჩენს თავს?

- მეხანძრის პროფესიას თან ბევრი სირთულე ახლავს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, ქალაქში მაინც გადატვირთული მოძრაობაა და ურჩი მძღოლებიც მრავლად არიან, ისინი არ უთმობენ სახანძრო მანქანებს გზას და არ ფიქრობენ, რომ წამებია გადამწყვეტი ადამიანის სიცოცხლისთვის.

- რა საჭიროებები აქვთ დღეს მეხანძრეებს?

- ყველა სამსახურის სურვილი კარგი დაფინანსება და ევროპული სტანდარტებია, მა-

გრამ აუცილებელია აღვნიშნო, რომ წინა წლებთან შედარებით სახანძრო პუნქტებში მდგომარეობა გაუმჯობესდა. ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, შევიძინეთ ფორმები და საჭირო ტექნიკა.

მეხანძრეებს ყველაზე ხშირად სთხოვენ გამორჩეული გამოძახებების გახსენებას, ჩვენც ვთხოვეთ გამოცდილ მეხანძრეს ერთი კონკრეტული შემთხვევის გახსენება. ბატონმა ხვიჩამ შარშან ზამთარში მომხდარი ინციდენტი გაიხსენა:

- "გვიან ღამით, თბილისში, პეკინის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო "ხიბლში" ცეცხლი დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში შენობის მე-9 სართულზე გაჩნდა და მე-10, მე-11 სართულებზეც გავრცელდა. ჩემი 20-ეულის გასვლა და ხანძრის ლიკვიდირება შემთხვევის ადგილზე დროულად მოხდა, დაახლოებით 14 ადამიანი გამოვიყვანეთ შენობიდან, მათ შორის იყო 10-12 წლის ასთმით დაავადებული ბავშვი, რომლის მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ ჩვენ ყანგბადის ბალონის დახმარებით, შევძელით მისი გამოყვანა. ბავშვი გადარჩა და ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია. მახსოვს როგორი მადლიერები იყვნენ მოზარდის მშობლები და მეზობლები. მსგავსი შემთხვევები მაძლევს სტიმულს გადავარჩინო მეტი სიცოცხლე და დავეხმარო ადამიანებს. როცა სახანძროს გამოძახება დაგვიანებით ხდება და ადამიანის სიცოცხლეს, ვეღარ შველი, ყოველი მსგავსი შემთხვევა განსაკუთრებულად მძიმეა".

მძიმე შემთხვევების თავიდან ასაცილებლად მეხანძრეები გვირჩევენ, რომ ვიყოთ კანონმორჩილები, დავიცვათ უსაფრთხოების წესები და გავითვალისწინოთ სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

P.S. "112" ყველა მეხანძრეს ულოცავს დამდეგ შობა-ახალ წელს.

უსახლკაროთათვის დროებითი თავშესაფრების მოწყობა

ზამთრის პერიოდში, მიუსაფართა პრობლემების მოგვარების მიზნით შექმნილ უწყებათაშორის ჯგუფში, აქტიურად ჩაერთო გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი - "112".

დაუცველ და მიუსაფარ მოქალაქეებს, რომელთაც სურთ დახმარების მიღება ან/და ადამიანებს, რომლებსაც აქვთ სურვილი დაეხმარონ მიუსაფარ ადამიანებს, შეუძლიათ განახორციელონ ზარი ოპერატიული მართვის ცენტრ "112"-ში, რის შემდგომაც, დაუყოვნებლივ, გამოძახებული იქნება საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მათ მიერ მითითებულ მისამართზე და უმოკლეს დროში უზრუნველყოფს ამ ადამიანის თავშესაფარში გადაყვანას.

ადგილზე მათ გაუმასპინძლდებიან ცხელი საკვებით, გაუწევენ სამედიცინო მომსახურებას და ღამეს თბილ, ჰიგიენურ გარემოში გაატარებენ. კარვები აღჭურვილია შეშის ღუმელით, საწოლებით, ლეიბებით, პლედებითა და ელექტროენერგიით. თავშესაფრებში ამ ადამიანებისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი.

მიუსაფართა პრობლემების მოგვარებაზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით შეიქმნა. კომისიაში აქტიურად არიან ჩართული შინაგან საქმეთა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, თავდაცვის, ფინანსთა, ეკონომიკისა და ჯანდაცვის სამინისტროები, მთავრობის კანცელარია.



სამოქალაქო კლუბის წევრების ვიზიტი "112"-ში

2013 წლის 12 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს "112"-ის დეპარტამენტს საგანმანათლებო ინიციატივების ქართული ასოციაციის ორგანიზებით, რუსთავის რვა საჯარო სკოლიდან, სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეები ესტუმრნენ. ბავშვებმა გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერეს, დააკვირდნენ სამუშაო პროცესს და "112"-ის წარმომადგენლებისაგან მიიღეს პასუხები, მათთვის საინტერესო კითხვებზე. "112"-ში ვიზიტი სამოქალაქო კლუბის წევრებისთვის საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის აინტერესებდათ, თუ როგორ ფუნქციონირებს ცენტრი და რა რეჟიმში უწევთ მუშაობა ოპერატორებს.

აღნიშნული სახის ღონისძიებები მიზნად ისახავს, მოზარდებში სამოქალაქო კულტურის ამაღლებას, საქართველოში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის ცნობადობის ამაღლებასა და გადაუდებელ სიტუაციებში ქცევის წესების გაცნობას.

შსს "112"-ის დეპარტამენტმა, უამინდობით გამოწვეული შემთხვევების შესახებ, ოფიციალური განცხადება გაავრცელა

2013 წლის დეკემბერის დასაწყისში, გაუარესებული ამინდის გამო, "112"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, მედიაში ოფიციალური განცხადება გაავრცელა. გთვაზობთ გავრცელებულ მასალას უცვლელად:

"შინაგან საქმეთა სამინისტროს "112"-ის დეპარტამენტი შეუფერხებლად ღებულობდა ზარებს, რათა მყისიერი რეაგირება მოეხდინა ყველა იმ ინციდენტზე, რომელიც საქართველოში ამინდის გაუარესებამ გამოიწვია.

"112"-ში, გასული დღე-ღამის განმავლობაში, უამინდობით გამოწვეულ პრობლემებთან დაკავშირებით, 36464 ზარი დაფიქსირდა. აქედან, 6106 საქმე შეიქმნა და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით დაუყოვნებლივ გაიგზავნა შესაბამისი სამსახურის ეკიპაჟები. დარჩენილი ზარები კი საკონსულტაციო ხასიათს ატარებდა.

ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით 429, ხოლო თბილისის მასშტაბით კი 190 შემთხვევა დაფიქსირდა. კერძოდ, აჭარაში - 37, გურიაში - 7, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 9, იმერეთში - 264, რაჭა-ლეჩხუმში -5, შიდა ქართლში - 39. სამცხე-ჯავახეთში - 32, მცხეთა- მთიანეთში - 11, ქვემო ქართლში - 9, ხოლო კახეთში - 16 შემთხვევა დაფიქსირდა. უამინდობის შედეგად, დაშავდა რამდენიმე ადამიანი და გარკვეული სახის მატერიალური ზარალი მიადგა მოსახლეობას.

"112" ოპერატიულად მიიღებს ზარებს და განახორციელებს შესაბამისი სამსახურის ბრიგადების დისპეტჩერიზაციას, საქართველოს მოსახლეობისთვის დროული დახმარების აღმოჩენის მიზნით".

აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავდა მოსახლეობის მაქსიმალმალურად ინფორმირებულობას, პანიკური მდგომარეობის და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით.



112

პრესრელიზი

შსს „112"-ის დეპარტამენტი, უამინდობით გამოწვეული შემთხვევების შესახებ, ოფიციალურ განცხადებას აქვეყნებს:

ბოლოს 6106 საქმე და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა მიზნით და დაუყოვნებლივ გაგზავნილ ბრიგადები ეკიპაჟები. ზარებისა 36 464 ზარი დაფიქსირდა.

ბოლო-ბოლო 6106 საქმე და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა მიზნით და დაუყოვნებლივ გაგზავნილ ბრიგადები ეკიპაჟები. ზარებისა 36 464 ზარი დაფიქსირდა.

ბოლოს ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით 429, ხოლო თბილისის მასშტაბით კი 190 შემთხვევა დაფიქსირდა. კერძოდ, აჭარაში - 37, გურიაში - 7, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 9, იმერეთში - 264, რაჭა-ლეჩხუმში -5, შიდა ქართლში - 39, სამცხე-ჯავახეთში - 32, მცხეთა-მთიანეთში - 11, ქვემო ქართლში - 9, ხოლო კახეთში - 16 შემთხვევა დაფიქსირდა.

უამინდობის შედეგად, დაშავდა რამდენიმე ადამიანი და გარკვეული სახის მატერიალური ზარალი მიადგა მოსახლეობას.

„112" ოპერატიულად მიიღებს ზარებს და განახორციელებს ზარების დისპეტჩერიზაციას შესაბამის სამსახურებთან, საქართველოს მოსახლეობისთვის დროული დახმარების აღმოჩენის მიზნით.

ორი ახალი საგანგებო ქოლ-ცენტრის ტესტირება ნიგერიაში

ნიგერიის კომუნიკაციების კომისიის (NNC) განცხადებით იწყება ორი საგანგებო ქოლ-ცენტრის ტესტირება. საჯარო საქმეთა დირექტორის, ტონი ოჯობოს, განცხადებით ტესტირება მიმდინარეობს ანამბრასა და ნიგერიის შტატებში. სამთავრობო გეგმის მიხედვით საგანგებო ქოლ-ცენტრები უნდა განთავდეს ქვეყნის ფედერაციის 36-ივე შტატში. აღნიშნული საცდელი ცენტრები მოემსახურება ქვეყნის ჩრდილოეთ და სამხრეთ ტერიტორიებს. მოსალოდნელია ასევე, რომ ნიგერიის კომუნიკაციის კომისია მოახდენს საგანგებო და უსაფრთხოების სამსახურების უნიფიცირებას ერთიანი უნიკალური მოკლე კოდით 112.

უსაფრთხოების დამცავი უწყებები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური, პოლიცია, ეროვნული საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, სახაძრო სამსხური და ფედერალური საგზაო უსაფთხოების კორპუსი იქნება მიერთებული ზემოხსენებულ საგანგებო ქოლ-ცენტრებზე. ამჟამად აღნიშნულ უწყებებს გააჩნიათ თავიანთი საკუთარი სატელეფონო ნომრები, რაც ართულებს გასაჭირში მყოფი პიროვნებისათვის მათთან დაკავშირებას. ქოლ-ცენტრებთან დაკავშრება შესაძლებელია უფასოდ და იმ შემთხვევაშც კი, თუ ტელეფონში არ დევს SIM ბარათი.

ფინეთში ნუ ეცდებით 911-ზე დაკავშირებას

ფინეთში ერთიანი საგანგებო ნომერი "112" ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად 1996 წელს იქნა შემოღებული. მიუხედავად ამისა, ფინეთში წლების განმავლობაში არსებობდა "ლეგენდა" 911-ის შესახებ. მოსახლეობის დიდი ნაწილი საგანგებო სამსახურთან დაკავშირებას 911-ის საშუალებით ცდილობდა. ფინეთის კომუნიკაციების რეგულატორი უწყების წარმომადგენელი პეკკა სილამნიაკი ყოველდღიურად ცდილობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და ფინეთის მოსახლეობაში საგანგებო ნომრის 112-ის პოპულარიზაციას.

ასე რომ, თუ თქვენ ფინეთში აღმოჩნდით, არ ენდოთ ძველ სახალხო ლეგენდას და საგანგებო სამსახურებთან დაკავშირება 112-ზე დარეკვით განახორციელეთ.

ნათია ბარაბაძე
შსს სსიპ "112"-ის დისპეტჩერი

ნათია ბავშვობიდან ხატავს. 9 წლის ასაკში გადაწყვიტა საგნის პროფესიულ დონეზე შესწავლა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩააბარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე, სპეციალობით - არქიტექტორ-დიზაინერი. სტუდენტობის დროს, ხელოვნების ახალი სტილი არჩია და დაიწყო თიხის თეფშებისა და დოქების მოხატვა, რომლებსაც სუვენირების მაღაზიებში უკეთებდა რეალიზაციას. მონაწილეობა აქვს მიღებული სტუდენტურ გამოფენაში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ, მუშაობდა თბილისის IV საჯარო სკოლაში ხელოვნების პედაგოგად, "ნატიფი ხელოვნების" კერძო სკოლის არქიტექტურის პედაგოგად და ასევე, კერძოდ ამზადებდა მომავალ მხატვრებს.

ნათიას ვუსურვებთ, მრავალი ახალი, საინტერესო ნამუშევრის შექმნას, კერძო გამოფენის გამართვასა და წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში.

ICDO-ს დელეგაცია "112"-ს ეწვია

2013 წლის 16 მარტს სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICDO) დელეგაცია გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრს ეწვია. დელეგაციის წევრები ცენტრის დირექტორ გიორგი ბიჭაშვილს შეხვდნენ, "112-ის ქოლცენტრი" დაათვალიერეს და მისი მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ. სტუმრებს ცენტრის წარმომადგენლებმა სამომავლო გეგმები გააცნეს და მათგან რჩევები მიიღეს.

მანამდე კი, დელეგაციის წევრები საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს შეხვდნენ და სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ბაზაზე საჩვენებელ ღონისძიებას დაესწრნენ. სტუმრებმა მაშველების პროფესიული მომზადების დონე დადებითად შეაფასეს და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვეს.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია ეწვია შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის მომსახურების სააგენტოს. შემდეგ კი შინაგან საქმეთა მინისტრს-ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა. შეხვედრისას მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობისა და საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარების საკითხებზე იმსჯელეს.



ბენჯამინ ფრანკლინმა 1736 წელს დააფუძნა მეხანძრეთა კავშირი ფილადელფიაში .

ცნობილი ამერიკელი მსახიობი სტივ ბუშემი წლების განმავლობაში მუშაობდა ნიუ-ორკის სახანრო რაზმში (FDNY). 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ ის დაუბრუნდა სახანძრო რაზმს და რიგით მეხანძრეებთან მხარდამხარ მუშაობდა მაშველად.



1916 წელს ჩარლი ჩაპლინმა გადაიღო ფილმი "მეხანძრე," სადაც მთავარი როლი თვითონვე შეასრულა

ცეცხლოვანი გოგონები

ინგლისის საგრაფო იორკშირის სახანძრო ბრიგადის მეხანძრე ქალბატონებმა ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა. მეხანძრე ქალბატონების ფოტოებით დამშვენებული კალენდარი საქველმოქმედო იყო და შემოსული თანხა კიბოსთან ბრძოლის კამპანიის ფარგლებში ერთ-ერთ ფონდს გადაერიცხა. კალენდარი "ცეცხლოვანი გოგონები 2013" 6 გირვანქა სტერლინგი ღირდა.

ქველმოქმედების მიზნით, წლის ბოლოს, მეხანძრეების პოზირება სახანძრო შარვლებში, ინგლისის მასშტაბით დამკვიდრებული ტრადიციაა, თუმცა აქამდე ეს არ გაუკეთებიათ ბრიტანეთის მამაც ქალ მეხანძრეებს.

სამხრეთ იორკშირის სახანძრო ბრიგადის ქალმა მეხანძრეებმა მეტი სიმამაცე გამოიჩინეს. ქალბატონებმა აღიარეს, რომ გადაღების დროს ძალიან ღელავდნენ, თუმცა საბოლოოდ გადაღების პროცესმა ყველა გაახალისა. ფოტოსესიაში 23-დან 54 წლამდე ასაკის მეხანძრე ქალები მონაწილეობდნენ.

როგორ შევხვდეთ 2014 წელს

2014 წელი ცხენის წელიწადია და თილისმად ლურჯი ხის ცხენი ითვლება. ასტროლოგები გვეუბნებიან, რომ ცხენი ოპტიმისტი, მხიარული და ენერგულია, თუმცა არასტაბილურობაც ახასიათებს და შესაძლებელია ადვილად შეიცვალოს პროფესია და სამუშაო ადგილი.

ალბათ ყველას აინტერესებს, როგორ შევხვდეთ ახალ წელს, რა ჩავიცვათ და რომელი ფერები იქნება აქტუალური.

მიუხედავად იმისა, რომ ცხენს უყვარს მეგობრების წრეში ყოფნა და ხალხმრავალი თავშეყრის ადგილები, უმჯობესია ახალ წელს მაინც ყველანი საკუთარ ოჯახებში შევხვდეთ, რადგან იგი მიჯაჭვულია ოჯახზე.

რაც შეეხება, ტანსაცმელს, უმჯობესია თუ ის იქნება ლურჯი, ცისფერი ან მწვანე ფერის, დახვეწილი ტანისამოსი. ცხენს ძალიან უყვარს ყელსაბამები, შავი მარგალიტის ან ხისგან დამზადებული გულსაკიდები.

სუფრასთან დაკავშირებით ასტროლოგები გვირჩევენ, განსაკუთრებულად გავაწყოთ იგი. უმჯობესია თუ თეთრი ხელსახოცებით გავაფორმებთ. სასურველია ასევე ხის ჭურჭლისა და ნაძვის ხის მოსართავად ხის აქსესუარების გამოყენება. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს სუფრაზე ბევრი მწვანილის დადება და კარგი იქნება, თუ პატარა თასით შვრიის ფაფასაც დავახვედრებთ ცხენს.

ასტროლოგები გვირჩევენ, რაც შეიძლება ბევრი ვიცეკვოთ ახალი წლის ღამეს, რადგან ცხენს ძალიან უყვარს მოძრაობა. ასევე თუ მოულოდნელი სტუმარი გვესტუმრება, თუნდაც უცხო ადამიანი, შემოვიპატიჟოთ და გულუხვად გავუმასპინძლდეთ, რადგან ამან შეიძლება ჩვენ ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებები გამოიწვიოს.

ბედნიერ და წარმატებულ 2014 წელს გისურვებთ.

ზოდიაქოს რომელი ნიშნისთვის იქნება 2014 წელი ყველაზე იღბლიანი.

ვერძი

2014 წელი ვერძებს მრავალი ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას მისცემს, რასაც არ უნდა მოკიდონ ხელი, ყველაფერს გააკეთებენ. ცხენის წელი მათ აქტიურობასა და საკუთარი თავის რწმენას მიანიჭებს.

კურო

წლის პირველ ნახევარში კუროებს ბევრი საქმის კეთება მოუწევთ ერთდროულად, რის გამოც შესაძლებელია მათი უმრავლესობა ბოლომდე ვერ მიიყვანოს. თუმცა სექტემბრიდან წარმატება მათი თანმდევი გახდება და ყველა საქმეს გაართმევენ თავს.

ტყუპები

2014 წლის დასაწყისში ტყუპებს კომუნიკაბელურობა და საკუთარი თავის რწმენა დიდ ძალასა და გარშემომყოფთა კეთილგანწყობას მოუტანს. გაიჩენენ საჭირო ნაცნობებს და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებენ.

კირჩხიბი

კირჩხიბებს ცხენის წელი შესანიშნავ შესაძლებლობებს ჰპირდება. ვარსკვლავები ამ ზოდიქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებს ურჩევენ, შეგნებული არჩვანის გაკეთებას ოჯახისა და პირადი ცხოვრების სასარგებლოდ.

ლომი

2014 წელს ლომებს წარმატება ელით როგორც საქმიან ასპარეზზე, ისე პირად ამბებში. მათ შეუძლიათ რამდენიმე საქმე ერთად აკეთონ და ამას თანაბარი წარმატებით შეძლებენ. თუმცა, შემოდგომაზე, შესაძლებელია დაპირისპირება მოხდეს კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის, რის გამოც ვარსკვლავები მათ ბალანსის მოძებნას ურჩევენ.

ქალწული

2014 წელს ვარსკვლავები ქალწულებს უამრავ მოულოდნელობასა და სიურპრიზს ჰპირდებიან, სიტუაციები ხშირად განვითარდება მათ სასარგებლოდ და თუ კონცენ-

ტრირებასა და ენერგიულად წინსვლას მოახერხებენ და წვრილმან საქმეებს არ მიედ-მოედებიან, წარმატების დიდი შანსი აქვთ.

სასწორი

ცხენის წელში სასწორები თუ გლობალურ იდეებს არ შეეჯიდებიან და მშვიდად განაგრძობენ საკუთარი საქმის კეთებას, მაშინ წარმატება ელით. 2014 წლის დასა-წყისიდანვე უმჯობესია მოძალებული ენერგია შემოქმედებით წვას, მოგზაურობასა ან პირად ცხოვრებაზე ზრუნვას მოახმარონ.

მორიელი

ვარსკვლავები მორიელებს წლის პირველ ნახევარში სასარგებლო თვისებებით დააჯილდოვებენ, ესენია: კომუნიკაბელურობა და ურთიერთობების სწორად წარმართვის უნარი. ისინი პირად ცხოვრებაშიც განუმეორებლები იქნებიან.

მშვიდლოსანი

ცხენის წელი მშვილდოსნებს არასტანდარტული და ნათელი ხედვით აჯილდოვებს, რაც მათ კრეატიულობას განაპირობებს, მათი ნოვატორული გადაწყვეტილებები შესაძლებელია გარშემომყოფთ უცნაურად მოეჩვენოთ, მაგრამ სწორედ ეს ნაბიჯები მოუტანს მათ წარმატებას.

თხის რქა

2014 წელი თხის რქისთვის პოზიტიური იქნება, ეს წელი მათ სულიერ კომფორტსა და სამყაროს ნათელ ხედვას უქადის. მიზანმიმართულობასთან და ჯანსაღ ამბიციებთან შეზავებული სულიერი ჰარმონია თხის რქებს უამრავ დაბრკოლებას გადალახვინებს.

მერწყული

მერწყულებისათვის 2014 წელი მშვიდი და ზომიერად აქტიური იქნება. წლის პირველ ნა-ხევარში რასაც ხელს მოკიდებენ, ყველაფერს გულდასმით გააკეთებენ და შეძლებენ ყველა შეცდომის თავიდან არიდებას.

თევზები

ვარკსვლავები ზოდიაქოს ამ ნიშანს მთელი წელი ორგანიზატორული ნიჭითა და სიმტკიცით უზურნველყოფენ. ეს თვისებები თევზების ცხოვრების ყველა სფეროში გამოვლინდება, მათ არც გარშემომყოფთა მხარდაჭერა მოაკლდებათ და მიზანსაც მიაღწევენ.

შსს სსიპ-“112“-ში 2013 წლის პირველი იანვრიდან დღემდე შემოსული საგანგებო ზარების სტატისტიკა







ლალი აბაშიძე

შსს სსიპ "112"-ის ზარის მიმღები

შსს სსიპ - 112

ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

ვებ-გვერდი WWW.112.GE
ელ-ფოსტა 112NEWS@112.GE